შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№21 (9.586)

8–15 ივნისი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

საქართველოში იბადებოდნენ...

2009 წლის ნოემბრიდან დღემდე ავღანეთში საქართველოს 29 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. ყველაზე დიდი მსხვერპლი საქართველოს არმიას 2013 წლის 6 ივნისს ჰქონდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, თვითმკვლელმა ტერორისტმა ბაზასთან სატვირთო მანქანით აფეთქება მოახდინა. აფეთქების შედეგად 7 ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

ისინი საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-4 ქვეითი ბრიგადის 42-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები იყვნენ და ავღანეთში მისიის შესასრულებლად 2013 წლის აპრილიდან იმყოფებოდნენ.

6 ივნისს მომხდარი თავდასხმის დროს, ასევე, დაიჭრა საქართველოს შეიარაღებული ძალების 9 სამხედრო მოსამსახურე. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ავღანეთში მიმდინარე უსაფრთხოების მხარდამჭერ საერთაშორისო ოპერაციაში საქართველოს სამხედრო ქვედანაყოფი 2009 წლის ნოემბრიდან მონაწილეობს. ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებამ ასეულის ზომის ქვედანაყოფი 10-ჯერ გაზარდა. 2012 წლის სექტემბრიდან, საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საქართველოს წვლილი გაორმაგდა და 1600-მდე სამხედრო მოსამსახურე იმყოფება ავღანეთის ჰელმანდის პროვინციაში.

ავღანეთში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებისათვის კანონით დადგენილია სოციალური დახმარება: ქართველ ჯარისკაცებს მხედრული პატივით კრძალავენ, ოჯახის წევრებს ეძლევათ ერთჯერადი მატერიალური დახმარება, მარჩენალდაკარგულ მშობლებს, მეუღლეებსა და შვილებს ენიშნებათ პენსია და გადაეცემათ ბინები სახელმწიფო ხარჯებით აშენებულ ოფიცერთა სახლებში.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადებით, საქართველო მისიაში მონაწილეობას განაგრძობს და ავღანეთიდან ქართული კონტიგენტის გამოსვლა მხოლოდ 2014 წლიდან, ქვეყანაში სამშვიდობო მისიის დასრულების შემდეგ დაიწყება.

„ძალიან მძიმეა ისაუბრო მისიის გაგრძელებაზე, ამ პოლიტიკის გაგრძელებაზე, მაგრამ ყველას უნდა გვესმოდეს, რომ ეს არის სახელმწიფოს ვალდებულება, ეს არის ის ტვირთი, რაც საქართველომ საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის აიღო“, - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

* * *

ისევ გლოვა... ისევ სევდა... ატირებული და ძაძებით შემოსილი დედები... ისევ სიტყვით გამოუთქმელი მწუხარება... ღმერთო როდემდე!.. უკვე მერამდენედ ვამბობთ ერთსადაიგივეს, მერამდენედ განვიცდით მომხდარს... საქართველოში იბადებოდნენ, მაგრამ ხშირად უწევდათ სხვა ქვეყნებში ბრძოლა ქართველ ჯარისკაცებს. საქართველოს ისტორია უამრავ ასეთ ფაქტს იტევს. მეორე მსოფლიო ომშიც არ იცავდა ქართველი ჯარისკაცი სამშობლოს პირდაპირი გაგებით, თუმცა ფაშიზმს ებრძოდა და იმ ომში ბრძოლაც გამართლებული იყო... ახლაც ავღანეთში მსოფლიო ტერორიზმს ებრძვიან და ბევრი მათგანი თვლის, რომ ამით საქართველოს უსაფრთხოებასაც იცავს.

ვუსამძიმრებთ მთელ საქართველოს და თითოეული დაღუპული ჯარისკაცის ოჯახს, ეს უდიდესი ტკივილია მთელი ქვეყნისთვის.

ისინი ჩემი თანამებრძოლები იყვნენ! ნუ გვიწოდებთ ფულზე გაყიდულებს!

7 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა და 9 დაიჭრა ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში მომხდარი თავდასხმის შედეგად... თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებით, ჰელმანდში თვითმკვლელმა ტერორისტმა ასაფეთქებელი მოწყობილობით სავსე ავტომობილი ქართულ ბაზასთან ახლოს ააფეთქა... ბოლო მსხვერპლის ჩათვლით ქართული ქვედანაყოფის დანაკარგი ავღანეთში 29 ჯარისკაცამდე გაიზარდა...

“ძალიან ცუდად ვართ... დაძაბულები და დათრგუნულები. ზოგჯერ უმწეობა გვიპყრობს, რადგან მუდმივად ვგრძნობთ, რომ ყველაზე დაცულ ტერიტორიაზე, ბაზაზეც კი არ ვართ დაცული... მაგრამ აქ ომია და იმაზეც გვიფიქრია, რომ ვიღაც მოკვდება. ყოველდღე ვგრძნობ, რომ აქ მეომრისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მხარეა და ვაღიარებ, რომ ასეთი საფრთხის წინაშე, ჯერ კიდევ სუსტი ვარ...“ ჩვენი რესპონდენტი 24 წლისაა. წელიწადზე მეტია რაც ავღანეთში, ჰილმენდის პროვინციაში, ლეზერნიკის ბაზაზე მსახურობს. მისივე თქმით, პირველი 6 თვე გაუჭირდა, მერე კი არ შეეჩვია, მუდმივი განსაცდელისგან “გაბრუვდა“. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ადრეც რამდენჯერმე ჩაგვიწერია, ამჯერად მისი დათანხმება გამიჭირდა...

- ახლა ძალიან ცუდად ვარ. არ მესმის, ხვალ (ჩვენი საუბარი 6 ივნისს შედგა) ჩვეულებრივ როგორ უნდა გავაგრძელო ცხოვრება. ისინი ჩემი თანამებრძოლები იყვნენ. მე ამ დროს პატრულირებაზე ვიყავი გასული სხვებთან ერთად. არადა, ეს ბევრად უფრო სახიფათოა, ვიდრე ბაზაზე დარჩენა, მაგრამ ამ ბოლო დროს თალიბები ყველაფერზე მიდიან. რაც უფრო იზრდება მათი დამორჩილების სურვილი კოალიციის ჯარებისგან, მით უფრო დაუნდობლები ხდებიან. არ ვიცი, რა დროს სძინავთ, მუდმივად ბრძოლის მზადყოფნაში არიან, ნაღმავენ, აფეთქებენ, თავს ესხმიან. მათ არც ქვიშის შტორმი და არც გაუსაძლისი სიცხე აბრკოლებთ... ამ რამდენიმე დღის წინ “წითელი ჯვრის“ ოფისი დაბომბეს. რაღაცაშია საქმე, ზედმეტად ეფექტურები გახდნენ ბოლო ხანებში და, შესაძლოა, გარედან უწყობთ ვინმე ხელს. ახლა ოპიუმის “მოსავლის“ დრო არ არის, მაგრამ რას გაუგებ.

- ბოლო დროს ხშირად ისმის კითხვა, - რისთვის მიდიან ქართველი ბიჭები ავღანეთში...

- არ მინდოდა ამ თემაზე საუბარი. ზოგადად ინტერვიუს მოცემა არ მინდოდა... თქვენს გამოცემას უდიდეს პატივს ვცემ, ხშირად, შეძლებისგვარად, როდესაც კი ინტერნეტთან მიწევს ყოფნა, ვკითხულობ. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სტატია ჩვენზეა, ისეთ საშინელ კომენტარებს წერენ, ასე მგონია, ჩვენს ხალხს ვეზიზღებით... ნუ იქნებით ასეთი სასტიკნი, აქ ყველა მაღალი ხელფასის გამო არ წამოვსულვართ და არც ისეთი მაღალი ხელფასია, რომ ამისთვის სიცოცხლის გარისკვა ღირდეს, პირადად მე და ძალიან ბევრი ჩემი მეგობარი, კვალიფიკაციის ასამაღლებლად წამოვედით. მინდოდა გამეგო, რა შემეძლო, როგორც მეომარს, როგორც ჯარისკაცს, როგორც სამხედროს რა პოტენციალი მქონდა... აქედან დაბრუნების შემდეგ გადავწყვეტ, შეიარაღებულ ძალებში დავრჩები

(გაგრძელება გვ. 3)

ქველმოქმედება ტაძრების ასაშენებლად

გვ. 3

სასკოლო რადიო - სოფელ ხორნაბუჯში

გვ. 2

ბავშვობა ლამაზი სიზმარია...

გვ. 7

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

C M Y K

"დაგვპირდნენ, რომ ტრადიციული ლოცვა თავისუფლად ჩატარდება"...

სოფელ სამთაწყაროში დაძაბული სიტუაცია გასულ კვირასაც შენარჩუნდა. წინა შემთხვევებისგან განსხვავებით, მუსლიმანები ამჯერად სოფელში ორჯერ ჩავიდნენ. ისევ ჩაიშალა სამთაწყაროში მუსლიმთა პარასკევის ლოცვაც. ამას გარდა, სოფლის ხოჯას სულიკო ხოზრევანიძეს ოჯახის წევრები ერთი საათის განმავლობაში ეძებდნენ. სოფელში მობილიზებული იყო დედოფლისწყაროს პოლიცია.

გასულ პარასკევსაც დილიდან სამლოცველოსთან 200-მდე ადგილობრივი იყო შეკრებილი, რის გამოც მუსლიმები სიტუაციის გამწვავებას მოერიდნენ და სალოცავად არ მივიდნენ. სამლოცველოსთან შეკრებილი ადგილობრივები კი აცხადებდნენ, რომ სამთაწყაროში მუსლიმთა ტრადიციული ლოცვები არ უნდა ჩატარდეს.

ადგილობრივების მიერ გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამთაწყაროში მცხოვრებ მუსლიმთა სულიერი ლიდერი სულიკო ხოზრევანიძე სამართალდამცავებმა საკუთარი სახლიდან 12:30 საათისთვის წაიყვანეს და იგი მუსლიმთა სამლოცველოსთან 14:00 საათისთვის მიიყვანეს. ხოზრევანიძის თქმით, იგი სამართალდამცავებს საათნახევრის განმავლობაში სწორედ იმ დროს ჰყავდათ წაყვანილი, როდესაც მუსლიმთა ტრადიციული ლოცვა უნდა ჩატარებულიყო, ანუ 13:00-დან 14:00 საათამდე. სულიკო ხოზრევანიძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებენ სამართალდამცველები და აცხადებენ, რომ მსგავს შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

იმავე დღესვე სახალხო დამცველმა განცხადება გაავრცელა და შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მოუწოდა, რომ სწრაფი და ეფექტური ღონისძიებები გაატაროს, რათა არ დაუშვას სოფელ სამთაწყაროს მოსახლეობას შორის დაპირისპირება და რელიგიური შუღლი.

მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენელი ჯემალ ადაძე აცხადებდა, რომ დღეს ლოცვა აღარ იგეგმებოდა.

„პრემიერ მინისტრის წარმომადგენლისგან მივიღეთ დაპირება, რომ სამთაწყაროში მუსლიმები პარასკევის ტრედიციული ლოცვის შესრულებას შევძლებთ და ინციდენტს ადგილი არ ექნება", — ამის შესახებ მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლმა ჯემალ ადაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ სამთაწყაროში მცხოვრებმა ქრისტიანებმა მუსლიმებს ლოცვის საშუალება მაინც არ მისცეს, მუსლიმებიც შესაბამის ზომებს მიიღებენ.

„დაგვპირდნენ, რომ პარასკევის ტრადიციული ლოცვა თავისუფლად ჩატარდება. ამის გამო დღეს აღარ ჩამოვედით სამთაწყაროში. ხალხი ლოცვის დაწყების დროს დაელოდება და თუ კიდევ ხელი შეუშალეს, ჩვენც შესაბამის ზომებს მივიღებთ. ეგენი თუ დაუწერელი კანონებით მოქმედებენ, ჩვენც დავივიწყებთ კონსტიტუციას",- განაცხადა ჯემალ ადაძემ.

პარასკევის ლოცვამდე, გასულ ოთხშაბათს სამთაწყაროში სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მთავარი მუფთის მოადგილე ჩავიდა. ადამ შანთაძემ სოფელში სამლოცველოსთვის გამოყოფილი ფართი დაათვალიერა და აჭარელ ეკომიგრანტებს გაესაუბრა. მისი თქმით, სამთაწყაროში მეჩეთისა და მინარეთის მშენებლობა დაგეგმილი არ არის.

პარასკევისგან განსხვავებით, ოთხშაბათს ადამ შანთაძის სამთაწყაროში ჩასვლამ ხმაურის გარეშე ჩაიარა. სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით მის ვიზიტს ადგილობრივების პროტესტი არ მოჰყოლია. თუმცა, როგორც ჩანს, ამ შეხვედრამ შედეგი არ გამოიღო და ლოცვა კვლავაც ჩაიშალა.

ილია მარტყოფლიშვილი

სასკოლო რადიო - სოფელ ხორნაბუჯში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლას მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში სასკოლო რადიოს პროექტი დაუფინანსდა. როგორც პროექტის ხელმძღვანელმა და ამავე სკოლის პედაგოგმა მარიკა პოპიაშვილმა გაზეთ „შირაქს" განუცხადა, უკვე შეძენილია შესაბამისი აპარატურა. პროექტის ნაწილი კახეთში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციამ USAID-ის დახმარებით დააფინანსა, აპარატურის ნაწილი კი სკოლამ საკუთარი სახსრებით შეიძინა.

მარიკა პოპიაშვილის განმარტებით, სასკოლო რადიოს მუშაობაში ძირითადად ამავე სკოლაში მოქმედი სამოქალაქო კლუბის წევრი მოსწავლეები ჩაერთვებიან.

რადიოს გახსნის ცერემონიას ჩვენი გაზეთის ჟურნალისტი ილია მარტყოფლიშვილი ტრენერის რანგში ესწრებოდა. ილია მარტყოფლიშვილი კლუბის წევრებს სასკოლო რადიოს მუშაობაში კოორდინირებას გაუწევს. ის რეპორტაჟების მომზადებაში მოსწავლეებს ყოველკვირეულ რეჟიმში დაეხმარება. ის კლუბის წევრებს რადიოს სპეციფიკაზე და ჟურნალისტის პროფესიის თავისებურებებზე ესაუბრა, შემდეგ კი მათ აქტიური თანამშრომლობისკენ მოუწოდა.

მისი თქმით, უმჯობესი იქნება, თუ ხორნაბუჯის სკოლა სამოქალაქო კლუბის გარდა, დამატებით ჟურნალისტთა კლუბსაც შექმნის, სადაც ის მოსწავლეები გაერთიანდებიან, რომლებიც უფრო აქტიურად ჩართვასა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე ჩაბარებას გეგმავენ.

„თქვენი სკოლის ორი მოსწავლე უკვე 1 წელია, აქტიურად თანამშრომლობს ჩვენს გამოცემებთან. ხშირად ამზადებენ როგორც სტატიებს, ისე აუდიო რეპორტაჟებს. ქიზიყი. გე-ს და რადიო24-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში მზადდება ყოველკვირეული შემაჯამებელი რადიოგადაცემებიც, რომელიც მთლიანად დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენებს ასახავს. რთული, მაგრამ ძალზე სახალისო საქმეა. რადიო გაცილებით მარტივი საქმეა, ასე რომ დარწმუნებული ვარ, მალე იგრძნობთ უსაზღვრო ენთუზიაზმს. შესაძლოა, ბევრი თქვენგანი მომავალში ჟურნალისტი არ გახდეს, თუმცა აქ მიღებული გამოცდილება მომავალში ძალზე წაგადგებათ. მით უფრო, რომ ამ საქმეში გამოცდილი ადამიანები საზოგადოებასთან ურთიერთობის თუ პიარ-სამსახურებშიც წარმატებით საქმდებიან და საკმაოდ პოპულარულ საქმედ ითვლება," - აღნიშნა ილია მარტყოფლიშვილმა.

ხორნაბუჯის საჯარო სკოლის დირექტორმა ლალი მენთეშაშვილმა ჟურნალისტ ილია მარტყოფლიშვილს პროექტის განხორციელებაში დახმარებისა და თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა. მისი განმარტებით, სკოლა კლუბს ყველაფერში გვერდით დაუდგება.

შეგახსენებთ, სასკოლო რადიოს პროექტს გასული წლიდან ქალაქ დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაც ადგილობრივი მედიის დახმარებით და საგრანტო დაფინანსების მეშვეობით ახორციელებს.

მოსახლეობას შორის დაუშვებელია რელიგიური შუღლი

საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი შს მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს მოუწოდებს, სწრაფი და ეფექტური ღონისძიებები გაატაროს, რათა არ დაუშვას სოფელ სამთაწყაროს მოსახლეობას შორის დაპირისპირება და რელიგიური შუღლი.

„შირაქი" სახალხო დამცველის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„აჭარის რეგიონიდან ჩასახლებული ეკომიგრანტი ქართველი მუსლიმები სოფელ სამთაწყაროში 1978 წლიდან ცხოვრობენ. ისინი თავიანთ რელიგიურ რიტუალებს წლების მანძილზე ასრულებდნენ და პრობლემა არ შექმნიათ, თუმცა არ ჰქონდათ სამლოცველო. ადგილობრივი მუსლიმები პატივს სცემენ უმრავლესობის რელიგიურ შეხედულებებს და არ ითხოვენ მეჩეთის მშენებლობას. მიმდინარე წელს, „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველომ" სოფელ სამთაწყაროში მუსლიმთა სამლოცველოსათვის შეიძინა სახლი, რომელსაც არ გააჩნია მეჩეთისათვის დამახასიათებელი ნიშნები (შენობის მდებარეობა სამხრეთით, მინარეთი, გუმბათი, მიკროფონები და ა.შ). ეს სახლი იქნებოდა მათი სამლოცველო კუთხე, სადაც პარასკეობით ლოცვას აღავლენენ. მოსახლეობა სწორედ ამ სახლის შეძენამ დააპირისპირა. სოფლის მართლმადიდებელი მოსახლეობა ეწინააღმდეგება მუსლიმთა მხრიდან რელიგიის თავისუფლებით სარგებლობას. მიმდინარე წლის მაისიდან მოყოლებული, სამთაწყაროში მცხოვრებ მართლმადიდებელ და მუსლიმ ქართველებს შორის დაპირისპირება უკვე რამდენჯერმე მოხდა.

სახელმწიფო დეკლარირებულად აღიარებს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს — მათ შორის რელიგიის თავისუფლებას. რელიგიის ან მრწამსის გამოვლენის თავისუფლება კი არა მხოლოდ ინდივიდუალური უფლება, ის შეიძლება განხორციელდეს კოლექტიურადაც.

რელიგიის თავისუფლების ეფექტური რეალიზაცია არ შემოიფარგლება სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებით სარგებლობაში ჩაურევლობის ვალდებულებით. სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს რელიგიის თავისუფლებით ეფექტური სარგებლობა. აღნიშნული ვალდებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირებისთვის, რომლებიც რელიგიურ უმცირესობებს წარმოადგენენ. პოზიტიური ვალდებულება მოითხოვს სახელმწიფო ორგანოების

მიერ ყველა აუცილებელი ზომის გატარებას, რათა უფლების დარღვევა ან ასეთი დარღვევის საფრთხე თავიდან იქნეს აცილებული და უმოქმედობითა და სამართლებრივად არაადექვატური რეაგირებით არ მოხდეს შეუწყნარებლობისა და ძალადობის წახალისება.

დღეს სოფელ სამთაწყაროში კვლავ უნდა ჩატარდეს პარასკევის ლოცვა და სახალხო დამცველის წარმომადგენლები ადგილზე დააკვირდებიან განვითარებულ მოვლენებს. საქართველოს სახალხო დამცველი მის ხელთ არსებული საშუალებებით დაიცავს ყველა კონფესიის მიმდევართა კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებას: „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება". რელიგიის თავისუფლება იცავს ინდივიდის უფლებას, იცხოვროს, იმოქმედოს და თავისი საქმიანობა წარმართოს რელიგიის წეს-ჩვეულებათა და საკუთარი შინაგანი რწმენის შესაბამისად. (საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი).

სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ დაპირისპირების რეალური და კვლავაც მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით ყველა სამთავრობო რესურსი იქნება გამოყენებული," — ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში.

ქველმოქმედება ტაძრების ასაშენებლად



სამი წელია, ზემოქედის მოსახლეობა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარს აშენებს, თუმცა, უსახსრობის გამო მისი დასრულება ვერ ხერხდება. ერთადერთი გზა მშენებლობაში მეტი ადამიანის ჩართულობა და მათი ფინანსური დახმარებაა. სწორედ ამ მიზნით 2 ივნისს სოფელ ზემო ქედის კულტურის სახლში საქველმოქმედო კონცერტი ჩატარდა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მოწვეული სტუმრები-ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „მანდილი“ (ხელმძღვანელი ნატო წიკლაური) , ვაჟთა კვარტეტი „ძველი სახლი“-გურამ ქავთარაძის ხელმძღვანელობით, ჯაზბენდი „ქოველსი“ (ხელმძღვანელი გიორგი მაღალაშვილი) , სოფელ ზემო ქედის კულტურის სახლთან არსებული ვოკალური ჯგუფი, ბავშვთა გუნდი და ორკესტრი (მაყვალა წიკლაური) , კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი (ხელმძღვანელი ხვიჩა ზუბიაშვილი) , ფოლკლორის ამერიკელი სპეციალისტები-აურელია შრენკერი და რიჩარდ ბერქლიანი. ისინი წელიწადზე მეტია, დაინტერესდნენ ქართული ფოლკლორით და პარიზიდან საქართველოში მოგზაურობენ. ამჟამად ისინი ზემო ქედში მაყვალა წიკლაურის სახლში ცხოვრობენ და ქართულ ფოლკლორთან ერთად ჩვენს წესჩვეულებებს და ენას ეუფლებიან. აურელია ქართულს იმდენად კარგად ფლობს, რომ მას თარჯიმანი არ სჭირდება და აზრებსაც შესაშური ქართულით აყალიბებს და გადმოსცემს. იმ დღეს დარბაზში ერთი მიზნისთვის გაერთიანდა ყველა- ასაკის, ეროვნებისა და მუსიკალური გემოვნების მიუხედავად. სცენაზე ერთმანეთს სცვლიდა ქართული ხალხური ცეკვა, მუსიკა და ჯაზი...

სოფლის ადგილობრივი ხელისუფლების განმარტებით, საქველმოქმედო კონცერტიდან შემოსული თანხა მოხმარდება სოფელ ზემო ქედში მშენებარე ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის სახურავის გადახურვას.

* * *

საზღვრისპირა რეგიონები საქართველოს დიდი ტკივილია, მით უფრო მაშინ, თუ პირობითი საზღვრის ფუნქციას მდინარე ასრულებს. საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან მდებარე სოფლების-სამთაწყაროსა და ფიროსმანის მოსახლეობა ცოცხალი საზღვრის როლს ასრულებენ. ათეული წლებია, აქაურ ქართველებს ეკლესია არა აქვთ. ისინი სალოცავად ისტორიულ ჰერეთში დადიან, რომელიც გაცილებით ახლოსაა, ვიდრე დედოფლისწყაროს რაიონული ცენტრი. აზერბაიჯანთან დამაკავშირებელი ხიდის ჩაკეტვაც ამიტომ განიცადეს ასე მტკივნეულად სამთაწყაროელებმა- ეს ხიდი უმოკლესი

გზით აკავშირებდა მათ საკუთარ მიწა-წყალთან, ნათესავებთან, წინაპართა საფლავებთან და, რაც ყველაზე მთავარია, სალოცავებთან.

6 ივნისს ქალაქ დედოფლისწყაროს კულტურის სახლმა კიდევ ერთ საქველმოქმედო კონცერტს უმასპინძლა. ღონისძიება სოფელ სამთაწყაროში ეკლესიის მშენებლობას მიეძღვნა. კონცერტი მისასალმებელი სიტყვით გახსნა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა მეუფე მელქისედეკმა. ის მიესალმა საქველმოქმედო ღონისძიების ნამოწყების იდეას ეკლესიების აშენების მიზნით და დასძინა, რომ საქართველო ოდითგანვე ასოცირდებოდა ქრისტიანობასთან და დღესაც ყველა ერთგული უნდა დარჩეს ილიას იმ ანდერძის, რომლის მიხედვითაც საქართველოს სულიერმა მამამ მთავარ საუნჯედ „მამული, ენა, სარწმუნოება“ დაგვიტოვა და მათზე ზრუნვა დაგვავალა.

როგორც ეპისკოპოსმა თავისი სიტყვის დასასრულს აღნიშნა, ეპარქია სამთაწყაროს ტაძრის ასაშენებლად გაიღებს შემოწირულობას 1000 ლარის ოდენობით.

კონცერტში მონაწილეობდნენ: დები ნაყეურები, დები გოგოჭურები, დები ზვიადაურები, ფოლკლორული ანსამბლი „ჰერულა“ (ხელმძღვანელი და ღონისძიების ორგანიზატორი გიორგი პაპიაშვილი) , პოეტები: გელა ბექაური, ზურაბ სუყაშვილი, აგრეთვე სოფელ სამთაწყაროდან თვითმოქმედი კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის წარმომადგენლები, სოფელ სამთაწყაროს და ქალაქ დედოფლისწყაროს მოსახლეობა.

კონცერტი ანსამბლმა „ჰერულამ“ კახური „მრავალჟამიერით“ და სამთაწყაროში ლამაზი ტაძრის მოკლე დროში აშენების იმედით დაასრულა.

ინგა შიოლაშვილი

ისინი ჩემი თანამებრძოლები იყვნენ! ნუ გვიწოდებთ ფულზე გაყიდულებს!

(პირველი გვერდიდან)

თუ სახლში წავალ. ამიტომ, გთხოვთ, ნუ გვიწოდებთ ყველას ფულზე გაყიდულებს! მე და ჩემმა მეგობრებმა, აქ რომ მოვდიოდით, ვიცოდით, რომ ომი დაგვხვდებოდა - ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი იქნებოდა ჩასაფრებული, მაგრამ მაინც წამოვედით. მე მწამს, რომ აქ ჩემს სამშობლოს ვემსახურები... დიახ, ყველა მსგავს ტრაგედიაზე დანაშაულის გრძნობა მაქვს ჩემი მეგობრების მიმართ, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ, რომ მათ დაწყებულ საქმეს გავაგრძელებ! ჩვენ ოკუპანტები არ ვართ. ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ საქართველოში არ იყვნენ რუსი ოკუპანტები...

ეს თქვენ, უბრალო ადამიანები აღიქვამთ ასე სხვანაირად, ემოციურად ამ ყველაფერს, რადგან ქართველები ცოტანი ვართ, თორემ იქ ყოველდღე ერთი ამერიკელი მაინც იღუპება. უბრალოდ ამაზე იქ, საქართველოში, არავინ ლაპარაკობს. აქ, ჩვენთან ახლოს, არის ქალაქი სანგინა, სადაც დღეღამის განმავლობაში რამდენიმე შეტაკება ხდება და უმსხვერპლოდ არ მთავრდება, მაგრამ ეს თალიბების მოტივაციაზე არ აისახება. ისინი საოცარი სისწრაფით მრავლდებიან და ყველა მათგანში ერთი კი არა, რამდენიმე სიკვდილია ჩასახლებული...

- გავრცელებული ინფორმაციით, აფეთქება ე.წ. ნაგვის მანქანამ განახორციელა, რამაც უსაფრთხოების ნორმების დაცვასა და კონტროლთან დაკავშირებით კითხვები გააჩინა...

- არა, უსაფრთხოების ნორმები სრულად არის დაცული, ყოველ შემთხვევაში რამე სერიოზული გარღვევა არ გვაქვს და მუდმივი კონტროლი ხორციელდება. უბრალოდ, საქმე ის არის, რომ არავინ იცის, ავღანელი, რომელიც "შენიანად" მიგაჩნია, სინამდვილეში ვინ არის. ანუ შესაძლოა, მან თალიბების შიშით, ისეთი რამ გააკეთოს, რასაც ისინი უბრძანებენ. ამისთვის მათ სხვადასხვა უსასტიკესი მეთოდები აქვთ, რადგან ის, ვინც მათ იდეებს ეწინააღმდეგება, მათი მტერია. დაუნდობლად აწამებენ და ხოცავენ საკუთარ ხალხსაც კი... ის თვითმკვლელი სატვირთო მანქანით მოდიოდა, მისი შეჩერება კი, მძიმე შეიარაღების ან ბარიერის გარეშე შეუძლებელია...

- საქართველოში გავრცელდა ვიდეო, სადაც თალიბები ჯიჰადზე საუბრობენ...

- დიახ, ვიცი, ჩემი ოჯახის წევრებისგან გავიგე ეს ამბავი. მითხრეს, რომ პანიკაა... არ ვიცი, ვიდეოჩანაწერის ნამდვილობაზე თავს ვერ დავდებ და ვერც იმას ვიტყვი, რომ ფალსიფიკაციაა, მაგრამ, როგორც ავღანელებისგან ვიცი, ამას სასულიერო პირი აცხადებს, ანუ ის მოუწოდებს ყველა მუსლიმს... გარდა ამისა, მათ სხვანაირი პრინციპები აქვთ და პიროვნება, რომელიც ჯიჰადს აცხადებს, არ დაიმალებოდა. თუმცა ყურადღება წამითაც არ უნდა მოვადუნოთ, რადგან მათთვის დაბრკოლება არ არსებობს. შესაძლოა, ხვალ ბაზაზეც შემოვარდნენ, როგორც არაერთხელ გაუკეთებიათ ან ახლა, ამ წუთებშიც გეგმავდნენ ამას. ან სულაც დაუგეგმავად შემოვარდნენ, რადგან გონებამ ასე უკარნახათ და თუ მოკლავენ, სიკვდილსაც გაღიმებული შეხვდება. ამას ვერ ავხსნი... არადა, ამერიკა აქ ცივილიზაციის შემოტანას ცდილობს, აქ, ავღანური პროვინციის გარეუბნებში და ცოტა მოშორებითაც, სადაც შენობის ნანგრევებში პატარა ბავშვებისგან „მოსიარულე ბომბებს “ქმნიან“.

ლალი პაპასკირი
„კვირის პალიტრა“

მარიამ-დედა

დიდ-დედა მარიამ ოჩიაური-გოგოჭური 92 წლისაა, მაგრამ თვალიც უჭრის, სმენაც კარგი აქვს და ჯანიც მოსდევს: ისევ ქსოვს და ქარგავს, ისევ თიბავს და წველის ძროხას, ტკბილნაუბარიც ბევრი აქვს, ზოგი ლექსად გამოთქმული, ზოგი ლოცვად ჩამოყალიბებული, ზოგი კი არაკი და გამოცანაა. საინტერესოა მისი ცხოვრება. არხოტში დაიბადა 1921 წელს. სკოლა იყო ოთხწლედი, მაგრამ ქალებს არ ასწავლიდნენ, „ქალს სწავლა რად უნდა, გაკახპდებისო, ქალაის საქმე ქსოვა, ბეჭვა და საქონლის მოვლააო“ და ისიც სხვა „ქალებივით“ მწყემსავდა საქონელს და მალვით ნასწავლ ასოებს ქვაზე კაწრავდა. მერე მთავრობა „გაბრაზდა“ და ვისი შვილებიც სკოლაში არ დადიოდნენ, აჯარიმებდა. მეზობელი ჩეჩენ-ინგუშები არხოტელებთან უთანხმოებაში იყვნენ. 1924 წელს ისინი თავს დაესხნენ არხოტელებს, ზოგი ტყვედაც წაიყვანეს, საქონელი გალალეს, ხელს გააყოლეს ერბო-ყველი და ყველაფერი, რაც შეიძლებოდა რომ წაეღოთ. 1944 წელს ისინი სტალინის ბრძანებით გაასახლეს და ღილღოში არხოტელები ჩაასახლეს. 16 წელი ცხოვრობდნენ ხევსურები ღილღოში. სტალინის სიკვდილის შემდეგ ჩეჩნები უკან დაბრუნდნენ და

თითქოს მშვიდად უნდა ეცხოვრათ, მაგრამ მთავრობამ მაინც გამოარიდა ხევსურები და ბარში -წითელწყაროს რაიონში ჩამოასახლა.

- „ღილღო ისე იყო ჩვენთვის, როგორც მშობელი დედა. ჰავაც კარგი იყო და ბუნებაც. ათასნაირი ყვავილი ჰყვაოდა გაზაფხულ-ზაფხულში. იქაური თაფლი სულ სხვა გემოსი და სურნელისა იყო, ამიტომ მესაქონლეობასთან ერთად მეფუტკრეობასაც მივდევდით. ჩეჩნების ჩამოსვლის შემდეგ იქ აღარ დაგვედგომებოდა, მთავრობამ უპროცენტო გრძელვადიანი სესხი მოგვცა, მანქანები გამოგვიყო, წამოვიღეთ ჩვენი ბარგ-ბინა და წამოვედით. ფუტკარი იქ დაგვრჩა. სხვანაირი იყო მთის ცხოვრება, მაღაზია, მატერიები და ჩასაცმელ-დასახური ძალიან გვიან შემოვიდა, ყველაფერს მატყლის და ტყავისაგან ვაკეთებდით ჩვენ თვითონ. ჯერ ტოლს ვქსოვდით დაზგაზე, იმას ვღებავდით დაყენებულ ნაცარ-წყალს, ძროხის შარდსა და ლილაში. მთელი თვე იყო ამ საღებავში. მერე ვრეცხავდით და მისგან ვიკერავდით სადიაცოს და ქათიბს, ანუ ქოლქოს. ამოგვყავდა პაჭიჭები ფეხზე ჩასაცმელად, ძირზე გამოყვანილ ტყავს წავაკერებდით გამძლეობისთვის, ზემოდან, ისე როგორც ტანსაცმელს, ფერადი ძაფების, მძივების და ვერცხლის „ფულებისაგან“ ვქარგავდით. მეტი რა საქმე გვქონდა, იქ დიდი სახლ-კარი არ იყო დასალაგებელი და ბაღ-ბოსტანი გასამარგლი. შევხაროდით ცას და დედამიწას, მათ ფერებს ვითავისებდით და ჩვენს ხელთნაკეთობაში ვიყენებდით. ვქსოვდით ფარდაგ-ჯეჯიმებს, ხურჯინებს. წინწაკვერცხილი თმები გვქონდა, რომელსაც სპეციალური ხის ნაცრისაგან დამზადებული ხსნარით ვიღებავდით და სულ მოყვითალო-ჩალისფრად გვიბზინავდა. ღილღოდან რომ წამოვედით, უკვე სამი შვილი მყავდა: შოთა, შალვა და თამარი. ორგანათხოვარი ვიყავ. პირველი ქმარი მალე მომიკვდა, შვილი არ დამრჩა, მაგრამ ისეთი კარგი დედამთილი მყავდა, მეორედ გათხოვილიც კი ხშირად ვსტუმრობდი. უსაჩუქროდ არ გამომიშვებდა. ერთხელ, შუაღამისას, გამეღვიძა, ვხედავ, ზის ჩემი დედამთილი და მიყურებს. რას უზიხარ, ავად ხომ არა ხარ-მეთქი, ვკითხე, არაო, მითხრა, შენ გიყურებ და გესიყვარულებიო. წრფელი და ხალასი ხალხი ცხოვრობდა მაშინ მთაში. 10 დეკემბერი იყო, პირველ შვილზე მუცელი რომ ამტკივდა. სახლში მშობიარობა უწმინდურობა იყო, არ შეიძლებოდა, არც არავინ უნდა დასწრებოდა ამ პროცესს, თავად უნდა მოგვევლო თავისთვისაც და ახალშობილისათვისაც. თივაბულუ-ლაშეყრილ ფიცრულში შემაგდეს, როგორც უწმინდურს საჭმელ-სასმელს შორიდან ჯოხით მაწვდიდნენ, თან საქარგ-საკერავი გავიყოლე. ვაჟი მეყოლა, ჭიპლარიც მე გადავუკვანძე და მოვლითაც თავად მოვუარე. შუაცეცხლი მენთო, საცეცხლურიდან კვამლი ადიოდა. ჩემი მამათილი დათიკო (აპარეკა) გოგოჭური მთაში ნათქვამი კაცი იყო, მთავრობაშიც კარგად იცნობდნენ. შინაგან საქმეთა მინისტრი შადური მეგობრობდა მასთან. სწორედ მაშინ ამოვიდა სტუმრად ჩემს ოჯახში და როცა გაიგო ჩემი მშობიარობის ამბავი, ძალიან გაჯავრდა. „ეს რა წესია, იქნებ რა გაუჭირდეს ქალს ან ბავშვსო.“ მართლაც, ხშირად იღუპებოდნენ დედის უცოდინრობის და გამოუცდელობის გამო ბავშვები. მთის ქალები ცოტა მკაცრები და ცივები არიან. არ მახსოვს, შვილებისთვის მეკოცნოს. არა, განა სირცხვილია შვილის კოცნა, თუ სურვილი გივლის, უნდა აკოცო და მოეფერო, მაგრამ მარტო ამით არ გამოიხატება სიყვარული, ის ცოდო-ბრალით, ზრუნვით, ამაგით, ერთგულებითა და მხარში დგომითაც შეიძლება გამოხატო. ჩემი მეორე ვაჟი- შალვა, 36 წლის ასაკში გულით დამეღუპა. სიტყვა ვერ ამოვთქვი, გული კი მიტიროდა, მეფუფქებოდა, ათას რამეს ფიქრობდა და იხსენებდა ჩემი გონება, მაგრამ უხმოდ და უცრემლოდ გავაცილე. არ ვიცი, ეს სისუსტე იყო ჩემი თუ სიმტკიცე, მაგრამ ადამიანი ყველა თავისებურია, ძალად, მოჩვენებითად არ უნდა იცხოვრო და მოიქცე, უნდა იყო ისეთი, როგორიც უფალმა დაგბადა.

საუკუნეს მივაღწიე და ლექსის და სიტყვის მადლი არ დამელია. სირცხვილიც კია, ამხელა ქალი ბუტბუტს რომ დავიწყებ, რას აკეთებო, მეტყვიან. მელექსებამეთქი და ვიგონებ ხან ლექსებს, ხან ზღაპრებს, ხან გამოცანებს. ალბათ გენიდან მომდგამს. პაპაჩემი (დედის მხრიდან ანუ ბაბუა) , მინდია წიკლაური (მეტსახელად მერცხალას ეძახდნენ) კარგი მოლექსე იყო. ვაჟა-ფშაველას ძმობილობდა. ერთხელ, ქორწილში მიმავლებს, დუქანში ვაჟა გადაჰყროდათ. ვაჟას გვერდზე მოუსვამს დედაჩემი ნანუკა და უთქვამს: აბა, ჩემო ქალო, ჩონგურზე დაამღერე მერცხალას ლექსებიო. დიდი „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდნენ ჩემმა ბაბუამ, ბერდედამ და დედაჩემმაც.ჩვენც გვასწავლიდნენ . ძალიან ბევრი ადგილები მეც ზეპირად ვიცოდი. გარმონზე ვუკრავდი და ისე, ჩემთვის, ხანდახან დავამღერებდი კიდეც. სულ მენატრება მთა და ჩემი ბავშვობა, მაგრამ ბარშიც მომწონს. აქაურ ხალხს კარგად შევეწყვეთ. სანაქებო რძალი მყავს და კარგი მეზობლები, მეც ყველა მიყვარს და ისინიც პატივს მცემენ. უკვე ხანდაზმული ვარ, მაგრამ მინდა, ვიდრე ფეხზე ვდგავარ და შემიძლია, ჩემს ოჯახს ამოვეშველო, ვქსოვ, ვქარგავ და ორიოდ კაპიკს ვაგდებინებ, პენსიასაც ვუნაწილებ ჩემს ოჯახს, ესეც რამეა ამ გაჭირვებულ ცხოვრებაში, არც საოჯახო საქმე მიჭირს, ჯერჯერობით. როცა აღარ შემეძლება, უფალს ვთხოვ დროულად დამახუჭინოს თვალები, არცვინ არ შევაწუხო, -გვიყვება მარიამ-დედა, ოღონდ სუფთა ხევსურულ კილო-კავზე, ისე, რომ ზოგიერთი სიტყვის „თარგმნა“ უწევს მის რძალს- დალი ბაღაშვილს. კარგი, მშრომელი ოჯახი აქვთ შოთას და დალის. ორი სტუდენტი ქალიშვილი ჰყავთ;-ანა ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხო ენებზე სწავლობს, მესამე კურსზეა, ბებიის მოსახელე მარიამი იქვე ქართულ ფილოლოგიას ეუფლება. ის ჯერ პირველკურსელია. მასაც უყვარს პოეზია, ქსოვა, ქარგვა და ხელსაქმე.

- ობოლი ვიყავი, დედინაცვალმა გამზარდა, არ ვემდური, მაგრამ მარიამ-დედასთან ისე ვარ, როგორც ღვიძლი დედა-შვილი. ჩვენს შორის არსებული ასაკი არაფერს ნიშნავს, ის უაღრესად თბილი და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანია. დღესაც ვითვალისწინებთ მის რჩევებს. კარგი სანათესაო ჰყავს. გოგი და ირაკლი ოჩიაურები მისი ბიძაშვილები იყვნენ. ხშირად სტუმრობდნენ მათ და ამხანაგ-მეგობრებსაც მოიყოლებდნენ. არაერთხელ ყოფილან მათთან ნოდარ ანდღულაძე, ანა კალანდაძე და სხვები. ერთი მული მყავს-თამარი, დუშეთშია გათხოვილი. სამწუხაროდ შვილი არ ჰყავთ და ორივე ხელით ჩემი შვილებისკენაა. სიძე გაბრიელ ჯაბუშანურის ძმისშვილია და მათ ოჯახშიც ლექსაობა და კაფიაობა ჩვეულებრივი მოვლენაა. ჩვენთან ქიზიყელები იშვიათად უკავშირებენ ბედს ხევსურებს. სხვისი არ ვიცი და მე მათთან ძალიან ბედნიერი ვარ, – გვეუნება ოჯახის რიგით მეორე დიასახლისი (პირველი ისევ მარიამია) დალი ბაღაშვილი და სასურათედ ისე მზრუნველად უვარცხნის თმას ბერ-დედას, აშკარად ეტყობა, ეს არც პირველია მათ ყოველდღიურ ყოფაში და არც უკანასკნელი.

მარიამ-დედა კი ასე ილოცება ყოველ დღე ცისკარისას თუ მწუხრისას:– „ღმერთო, იესო მაცხოვარო, როგორც ცათა შინა, ესრეთ ქვეყანასა ზედა, ვეხვეწები ბედსა შენსა, შენ იყავ ჩვენი მშველელი, შენ ეწეოდე ჩემს დიდსა და პატარასა, შორსმყოფსა და ახლოსმყოფსა, შენი ბედი და დოვლათი ეწეოდეს ჩემს ოჯახსა“.

გისმინოს უფალმა ბერ-დედავ, ასი წლისთავზე შევხვედროდეთ. აკი შენ თავად სთქვი: რვა წელი რა ბედენაა, რვა წელს ვეღარ გავუძლებ განა, აქ ყოფნაა ვაჟკაცობა, თორო იქ წასვლას რა უნდაო.

არცრა, სიმხნევე, შრომა და სოცოცხლე.

ნაირა გორაშვილი.

ქვემოთ გთავაზობთ მარიამ ოჩიაურ-გოგოჭურის რამდენიმე ლექსს ჭაშნიკისთვის.

ახალ წელ მოგვიახლოვდა,
დღენი მიდიან ჩქარაო,
ქალების მოლოდინი მაქვ,
შავწუხდი ძალიანაო.
უთხარით მარიამასა,
ბებომ რა დაგიბარაო,
კარგად ისწავლეთ სტუ-
დენტნო,
არვინ გაჯობასთ სხვამაო.
მე მაინც მიმავალი ვარ,
მალე დღესა თუ ხვალაო,
იქნება ვეღარ მამისწრო
დუშეთს მცხოვრებო ქალაო,
ვიცი რომ არვის ექნების
მოხუცი ჩემისთანაო,
მამიახლოვდა ეს წელი,
ვლექსაობ თანდათანაო.
მეზობლებ მიჯავრდებიან
ნუ ამბობ წარამარაო,
თავის ადგილზე დაეგდე,
შე არხოტელო ქალაო,
ჩემი ტანჯული ცხოვრება
მაშ როგორ გავატარაო?
ოღონდ თქვენ იეგნეთ
კარგადა,
ტეუილს არ ვიტეკი, არაო.

***

„ძმაო ძმითა ხარ მაგარი,
თორე მტერ მოგერეოდა,
აგჯაბრდებოდა სოფელი,
სალამი დაგელეოდა.
სად დამრჩი, ძმაო ესტატეე,
თათრების მესამძღვარეო,
მე კი უშენოდ ვერა ვქენ
მტერს ვერა მოვაგვარეო“

***

„მაგათრევ ქვეეანაზედა
სეტეეაო ბახაისაო,
ქორადალ დადგნენ თუშები,
მურო დაიდო ცხვრისაო.
გამასტეეერა ქოჩადალაი,
ზვავად წამავა ქვიშაო,
შიგ ჩაიჯრინა თუშები
თავის მავლილი
ცხვრითაო.
უხარის იმათ დედებსა
მაგვივლენ შირაქითაო.
შვილების ნახვა სწადიან
იმათ მავლილის ცხვრისაო,
ის კი რას მაჰგონდებოდა,
დაგვიტუსაღებს მიწაო.

* * *

ჯალაფთ ჩემიდგეს საგზალი,
მწეემს გავხე თხების
ჯოგისა,
ავლალე მუხიანშია
დიდის ხალხაის ჯოხითა.
მე მგლებიც ვერას მაშინებს,
შიში ჰქონდ ჩემის ეოფისა,
წამეედ საშინაოდა,
ჩამოიარე ცოცვითა,
სოფლის ჰირს შამამავალი
ვერ გამცნეს ხევსურობითა,
მივიმახე ხევსურთ ქალებსა:
ვახშამ მზადდების, მოდითა!
ზოგ-ზოგ გაგიცნობთ
კარგადა,
ანდ არა მაქვს ზოგისა,
კართოფილიან-ძვლიანი,
ცეცხლზე შემოვდგი ქობია.
შენი ჯირიმე, მერცხალო,
ჯირიმე შენის ძმობისა,
მხართა გრძე გუგუჯრელაი,
ხმა მადის შენის თოფისა,
გამაატოლებ კონტახსა,
ქალების ნაებენ თოლ-
ჰირსა,
ადვილად ნუ ამაიღებ
ემა შენ ღიღურ ორჰირსა.

მამაგონდები არხოტო

არხოტით აურა გავბედე
გულს შემომაწვა დარდია,
დავწევ, ძილ არ მეძინების
ადგომას დავეზრები,
გამოვესალმე სახლ-კარსა,
მოვალ არ ანაჩქარევი.
ვეძის ტეის გორით გიეუ-
რებ
სოფელო, შორა დარჩები,
დაშლილო გაბურთ ქვით-
კირო,
გაოხრებულო სახლებო,
არხოტის მთაზე შემოვხედ
დარდისგან განამწარევი,
ფრინველთა ძღერა დაიწყეს
შემოიბერტეეს მხარები,
თვალ შემოვავლე მთა-
წვერსა
აჩნდა არხოტის მხარები,
დამგონდ-მამგონდა
ეეველაი,
სიერმის დრო განატარევი,
თუმცა აღარ ვარ ემაწვილი,
მაქვის სიბერის ხანები,
რა ტკბილ ეოფილა სამშობლო,
მე იმას ვენაცვალები.

***

ამოსავლეთით ამოხდა
თვალად ლამაზი ქალია,
ამოჰეეა საეურ-ბეჭედი
ეერიალებდა ქარია,
სათავნოდ ამოიეეანა
სამოცი დედალ ცხვარია,
ვინც რომ მაგ გოგოს
აკოცებს,
ის არის მისი ქმარია.
აკოცა ბიჯმა რეგვენმა
თავს გადიმტვრია ხმალია.

არწიეო

თვალთა გაეოლებ, არწიეო,
ჰაერის მონადირეო,
ლაღი ბუნებით საავსეო,
შაკრულო,
ტანამცირეო,
შენთა საზრდოთა ელდაო,
ცის კიდეთ მონაჰირეო,
დაჰკიეალი, მთებსა სდარაჯობ,
ქედებზე მოსადილეო.
ეინვარს კალთაზე ჯიხვები,
უწევს ვით დედას ბალღია,
ასიამოვნებ ჯიუხსა,
როგორც ბულბულსა
ბაღია.
მის გვერდზე წეარო
ჩამოდის
აჩქერებული, ლაღია,
დროთა მნიშვნელად
რქებზედა,
ნაზარდი აქვ და დაღია.
არხოტის ვიწრო ხეებო,
შაღებილებო სიხსლითა,
წინიდგე ძალით ნაჯერო,
ხმლითა, თოფითა, ისრითა
სრუ ჩვენ რა დაგვდე უღელი
გადუტანელი ისრითა,
ჩვენ ჯირ სრუ დაფარულია,
როგორც ქვეეანა ნისლითა“.

„როგორ გაფრენილან წლები...“

ადამიანის ცხოვრებაში ბავშვობა ყველაზე ნათელი წერტილია, რომელიც ლამაზ მოგონებებადაა აკინძული ჩვენს მეხსიერებაში. თუმცა, ეს ყოველივე ძალიან მალე მთავრდება. 6 წლის ასაკში, დგება პერიოდი, როდესაც უტკბილეს ბაღის კედლებს ვტოვებთ და სკოლისკენ მიმავალ გზას მივყვებით. გავა წლები და ისინი განვლილ წლებს სხვადასხვანაირი ღირებულებებით გადააფასებენ. დარწმუნებული ვარ, ყველა მათგანი გულში ხშირად ინატრებს საბავშვო ბაღში გატარებულ ბავშვობის წლებს. ბავშვობა, რომელზეც ცხოვრებისეული სიტკბო და სიმწარე ჯერ არაა ასახული და შესაბამისად, მისი პატარა სული დიდ სისუფთავეს და სიწმინდეს ინახავს.

რამდენიმე დღის წინ, დედოფლისწყაროს N2 საბავშვო ბაგა - ბაღში, (დირექტორი ქეთინო ჩალახეშაშვილი) 6 წლიანი აღსაზრდელების გამოსაშვებ საღამოზე გახლდით მიწვეული, ამ ღონისძიებით ბაღის პედაგოგის, ქეთევან გიგოლაშვილის აღზრდილები საბავშვო ბაღს ემშვიდობებოდნენ. პედაგოგებში სევდიანი განწყობა შეიმჩნეოდა, ბავშვები კი სიხარულს თავის სიცელქეში ამჟღავნებდნენ. მათთვის ხომ ჯერ კიდევ უცხოა ცხოვრების ქარტეხილები, სულაც არ ფირობენ, რომ ეს მათ მიერ გამართული ბოლო კონცერტი გახლდათ მშობლიური ბაღის კედლებში და მათ ცხოვრებაში აღარასოდეს განმეორდება ასეთი დღე! თუმცა რას იზამენ? - ასეთია ცხოვრების კანონზომიერება, ცხოვრება, რომელიც თავისეულ მიჯნებს გვიწესებს. ...თეთრ პერანგებსა და შავ სმოკინგებში გამოწყობილ ბიჭებს ხელკავით გამოჰყავთ თავისი მეწყვილე გოგონები, რომლებსაც ამ დღეს იასამნისფერი ატლასის კაბები ეცვათ. თითოეული მათგანი ლამაზი ვარცხნილობით იწონებდა თავს. არც ტკბილმოუბარი ენით გვაკლებდნენ სათქმელს. ჯერ სკოლაში არ მისულან, მაგრამ წინდაწინ უკვე დედა ენას უმღეროდნენ, აქედანვე იციან, რომ ამიერიდან წიგნი მათი განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს, იციან, რომ ქართული ენა ჩვენთვის სიმღერის ენაა, მტრისთვის კი, - სწორუპოვარი მახვილი. ისიც, რომ „მომავალი თაობები აივლიან-ჩაივლიან, ქვეყანაში კი, სულ იქნება „აი ია“, „აი, ია!“ ბავშვებმა წარმოთქვეს ლექსები ქვეყნის სიყვარულზე, პედაგოგებზე და მათ ღვაწლზე, საკუთარ ლამაზ მომავალზე. შესრულდა „ტანგო“ (ანა სესიტაშვილი და ნიკა მაისურაძე) და ცეკვა „ქართული“ (ლუკა ბარნაშევსკი და მარი გამხვეტელაშვილი) მშვენივრად მოირგეს როლები და ითამაშეს საინტერესო როლები, რომელსაც მოჰყვა ძალიან სხარტად და ლამაზად შესრულებული „ცანგალა და გოგონა“ (ნოდარ გივიშვილი და მარი შეითნიშვილი) . ღონისძიებას ჰყავდნენ „დედა ენის“ გმირები-ქართველი ერის სულიერი მამა-ილია ჭავჭავაძე, დედაენის ავტორი- იაკობ გოგებაშვილი და „ზარმაცი გიგოც“ კი. მარიამ პატაშურმა დედასთან ერთად ჩონგურისა და დოლის თანხლებით შეგვისრულა სიმღერა - „ჩამოვუქროლებ ჩემს საქართველოს“. ღონისძიება თავისი მხატვრული გაფორმებით, შინაარსით და შესრულების მანერით სრულად ესადაგებოდა იმდღევანდელ შეკრების მიზეზს, რამაც, საბოლოო ჯამში, ყველას სასიამოვნო განცდები დაგვიტოვა.

***

...მეორე დღეს, კვლავ უმასპინძლა ამავე ბაღმა დამამთავრებელი ჯგუფის გამოსამშვიდობებელ საღამოს. ამჯერად პატარები თავის ბაღის პედაგოგებს ეკა წიკლაურს და ქეთევან ჯალიაშვილს ემშვიდობებოდნენ, ძალიან ლამაზი ღონისძიება გახლდათ, გოგონებს გულზე შავი ვარდდაბნეული ვერცხლისფერი სარაფნები ეცვათ, ხოლო ბიჭუნებს შავი სმოკინგები, სცენაც ძალიან ლამაზად - თეთრი ბუშტებით და ყვავილებით იყო მორთული. პატარებმა ლექსები მიუძღვნეს დედას, სამშობლოს, მასწავლებლებს, ქართულ ენას, ბაღში განვლილ წლებს და შემდეგ, მომავალ სკოლას. გაიხსენეს, თუ როგორ მოიყვანეს მშობლებმა სულ პატარები ბაღში და როგორ დაფრთიანდნენ აღმზდრდელების ხელში, რისთვისაც მადლობა გადაუხადეს პედაგოგებს ამდენწლიანი მზრუნველობისა და კარგი აღზმრდელობითი საქმიანობისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ პირველად დედოფლისწყაროს №2 ბაგა-ბაღში შემოიღეს და ტრადიციად დაამკვიდრეს პატარა ვირტუოზების მიერ შესრულებული ცეცხლოვანი ცეკვა „ტანგო“, რომელიც საოცრად შვენით ბავშვებს, რომლის ხილვაც მაყურებელს ღიმილის გარეშე არ შეუძლია და სასიამოვნო ემოციებს იწვევს მათში. სწორედ მაყურებლებისა და პედაგოგებისთვის საოცარი მოქნილობით შესრულდა გიორგი გოგაშვილისა და ანა ტუხაშვილის მიერ ცეცხლოვანი „ტანგო“. ღონისძიებას არც ევროპული ცეკვა - სიმღერა აკლდა, ბავშვებმა აიხდინეს თავისი ოცნება და გარეპეს კიდეც. რამაც კიდევ უფრო მეტი ოვაცია გამოიწვია მაყურებელში. დასასრულს, ბავშვებმა იმღერეს ანსამბლ „ივერიის“ ჰიმნად ქცეული სიმღერა -„გზა დაგვილოცეთ!“: - „გაფრინდა ხუთი ლამაზი, უდარდელი და ბედნიერი წელი, მალე ექვსი წლის გავხდებით, დავემშვიდობებით ჩვენს საყვარელ საბავშვო ბაღს, გაივლის ცხელი ზაფხული და დადგება შემოდგომა, წავალთ სკოლაში და შევუდგებით სწავლა-განათლების დიდ გზას!“- ამბობს მარი ოჩიაური.

თვალცრემლიანი დაემშვიდობნენ პატარა აღსაზრდელებს პედაგოგები-ეკა წიკლაური და ქეთი ჯალიაშვილი, რომლებმაც მომავლის სავალი გზები დაულოცეს პატარებს. თავის აღსაზრდელებს სიტყვით მიმართა ბაგა- ბაღის დირექტორმა ქეთევან ჩალახეშაშვილმა და ბედნიერი მომავალი უსურვა მათ. ღონისძიებაზე საპატიო სტუმრად მოწვეული გახლდათ დეკანოზი ნიკოლოზი, რომელმაც თავისებური მადლი და სიკეთე შესძინა პატარების გამოსამშვიდობებელ საღამოს, მან დალოცა ღმერთისთვის ყველაზე საყვარელი შვილები, რწმენით სიარული უსურვა მათ.

N2 ბაგა-ბაღის ზეიმები სამახსოვრო ფოტოების გადაღებით დასრულდა. წელს ამ ბაღში სულ 50 ბავშვმა დაამთავრა ექვსწლიანთა ჯგუფი, აქედან 46 აღზრდილი შემოდგომიდან სკოლაში განაგრძობს სწავლას. ფეხბედნიერი ყოფილიყოს თქვენი ნაბიჯები სკოლისკენ, ბავშვებო!

ლალი მეხრიშვილი

შენ დრო დააბი უკვდავების სადარ მდელოზე...

ეს საოცარი სიტყვები მარინე ცხვედიაშვილმა თავის მეუღლეს, დიდ ხელოვანს, გამორჩეულ მხატვარსა და მწერალს ჯემალ კუხალაშვილს მიუძღვნა, რომელსაც ამ დღეებში სახვით ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. მე კი ვიტყოდი, რომ ეს სტრიქონები ორივეს მიესადაგება. ეს რომ ასეა, სამების საკათედრო ტაძარში გამართულმა მათი ახალი წიგნების „ დამიმახსოვრე“ (მარინე ცხვედიაშვილი) და „მე არა“ (ჯემალ კუხალაშვილი) პრეზენტაციამაც დაადასტურა, რომელმაც ქართული კულტურის წარჩინებულ კოჰორტასა და პოეზიის თაყვანისმცემლების ვრცელ აუდიტორიას უმასპინძლა.

პოეტების შემოქმედებაზე სიღრმისეულად ისაუბრეს ცნობილმა მწერლებმა, ლიტერატურის კრიტიკოსებმა, მეგობრებმა და კოლეგებმა. მათ შორის გამორჩეული იყო დიდი გალაკტიონის ძმისწულის და ერთადერთი მემკვიდრის, პროფესორისა და მწერლის ნოდარ ტაბიძის გამოსვლა, რომელმაც უდიდესი შეფასება მისცა მათ შემოქმედებას და აღნიშნა, რომ ხსენებული წიგნები ყველა ქართველის ოჯახის სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს და რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ უნდა წაიკითხოს.



ასევე გულწრფელი და ამაღელვებელი გამოსვლა ჰქონდათ ყველასათვის ცნობილ და საყვარელ პიროვნებებს გივი სიხარულიძეს და ერეკლე საღლიანს, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარეს დავით შემოქმედელს, ცნობილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს გივი შახნაზარს, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს ბაღათერ არაბულს, მწერალ ელგუჯა ლებანიძეს, პოეტებს: მზია ხეთაგურს, ია სულაბერიძეს, ბადრი ქუთათელაძეს, მირიან ფალიანს, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს დავით ანდრიაძეს, ცნობილ მსახიობს გუჯა ბურდულს...

მთელი საღამო მშვენიერი ქართული ჰანგების ფონზე მიმდინარეობდა. დარბაზში ისმოდა უამრავი მოლოცვა, აგრეთვე სატელეფონო ზარები. ერთ-ერთი მათგანი ეკუთვნოდა მარინე ცხვედიაშვილის უახლოეს მეგობარს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს პოეტ მაყვალა გონაშვილს, რომელიც ამ დროს საპატიო მისიით სანკტ-პეტერბურგში იმყოფებოდა.

საღამოზე დიდხანს იღვრებოდა სინათლითა და სინატიფით აღსავსე სტრიქონები, ხოლო კედლებს მეტ მშვენიერებას მატებდა ჯემალ კუხალაშვილის ნახატები.

უამრავი ჯილდოსა და პრემიის მფლობელთათვის (ვაჟა-ფშაველას, გიორგი ლეონძის, გალაკტიონ ტაბიძის, სახელმწიფო პრემიის და სხვა.) ყველაზე მაღალი ჯილდო ხალხის სიყვარული და თანადგომა იყო.

ღონისძიების დასასრულს მარინე ცხვედიაშვილმა და ჯემალ კუხალაშვილმა ერთგულ მკითხველებს პოეტური კრებულები თავიანთი ავტოგრაფებით უსახსოვრეს.

ეს შთამბეჭდავი საღამო დიდხანს იქნება დაუვიწყარი იქ მყოფი საზოგადოებისთვის.

ნანა ჭიჭინაძე

სელენის დეფიციტის გავლენა ადამიანისა და ცხოველის ჯანმრთელობაზე

მსოფლიოს ბევრი რეგიონი ხასიათდება სელენის ნაკლებობით მიწაში და შესაბამისად, კვების პროდუქტებში. რუსეთი, ჩინეთი და ზოგიერთი დასავლეთის ქვეყნები ცნობილია როგორც სელენის მეტნაკლებად დეფიციტის მქონე, არ გამოვრიცხავ საქართველოს ზოგიერთ კუთხესაც (კვლევა არ ჩატარებულა) . საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანის დღე-ღამური მოთხოვნა ამ მიკროელემენტზე შეადგენს 50-100 მკგ/დღეში, მაგრამ უკვე ითვლება, რომ ჭეშმარიტი მოთხოვნა თითქმის 3-ჯერ მეტია და საშუალოდ, შეადგენს 200 მკგ/ს დღეში. სელენი ცნობილია, როგორც ძლიერი ანტიოქსიდანტი. ამერიკის მეცნიერებთა აკადემიამ დაადგინა სელენის მოთხოვნილების მაქსიმალური დონე, ეს არის 400 მკგ/დღეში ადამიანებისთვის 19 წლის და ზევით.

სელენი - წარმოადგენს შეუცვლელ ანტიოქსიდანტს. იგი ბიოლოგიურად აქტიური მიკროელემენტია, რომელიც შედის ორგანიზმში მიმდინარე ურთულესი ცვლადი პროცესების მარეგულირებელი უმთავრესი ჰორმონების და ფერმენტების შემადგენლობაში. სელენი დაკავშირებულია ყველა ორგანოს, ქსოვილების და სისტემების ცხოველქმედებასთან. ორგანიზმში მისი არსებობა სხვა მიკროელემენტებთან ერთად, აუცილებელია ნორმალური განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის შენარჩუნებისათვის. სელენი ერთ-ერთი უმთავრესი მიკროელემენტია, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზმის ანტიოქსიდანტური სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას, მონაწილეობს განაყოფიერების პროცესში. სელენი იცავს ორგანიზმს სხვადასხვა საწარმოო სტრესებისაგან. სელენი ააქტიურებს იმუნური სისტემის მუშაობას. სელენი და ვიტამინი არეგულირებს ვიტამინ E-ს შეწოვასა და ცვლას, ააქტიურებს ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონებს, რომლებიც ზემოქმედებენ ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების ინტენსივობაზე და საბოლოოდ, გონადოტროპული ჰორმონების აქტივობაზე. გარდა ამისა, სელენი აბრკოლებს მეტაბოლიზმის პროცესში ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების ზედმეტად დაჟანგვას. სელენი ხელს უწყობს წვრილი ნაწლავების ლორწოვანი გარსის ნორმალიზებას კაროტინის შეწოვისა და ვიტამინად გარდაქმნას, რაც თავის მხრივ, ოპტიმალურ პირობებს ქმნის განაყოფიერებული კვერცხუჯრედის საშვილოსნოს კედელზე მიმაგრებისა და ნაყოფის ნორმალურად განვითარებისათვის.

დოქტორ შრაუზერის გამოკვლევებით, თუ სისხლში სელენის ნაკლებობა 100 მკგ-ზე დაბალია, მაშინ შესამჩნევად იზრდება კაცებში სიკვდილიანობა პროსტატის კიბოთი. რუსეთში გამოკვლევებმა დაადგინა, რომ სისხლში სელენის შემცველობა, სადაც მერყეობდა 30მკგ-დან 101 მკგ-მდე. (გოლუბკინა) , ონკოლოგიური დაავადებების რიცხვი განსაკუთრებით მაღალი იყო.

სელენის დაბალი შემადგენლობა ორგანიზმში განაპირობებს კიბოთი სიკვდილიანობის მომატებას.

იზრდება აბორტების და რიგი სხვა დაავადებებათა რიცხვი (Barrington) ქალბატონებში.

დანიელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანები რომლებიც განიცდიან სელენის დეფიციტს, კორონარული დაავადების რისკი ეზრდება 70%-ით. როდესაც ფინეთში დაიწყეს საკვებზე სელენის დამატება, ქვეყანაში გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიები შემცირდა 2, 5 ჯერ, ონკოლოგიური დაავადებათა რიცხვი შემცირდა 1, 8-ჯერ, ენდოკრინულ დაავადებები 77%-ით, საერთო დაავადებათა დონე კი 47%-ით.

აშშ-ს ონკოლოგიურ ნაციონალურმა ინსტიტუტმა ფართო გამოკვლევების ჩატარების შემდეგ, რომელიც გრძელდებოდა 10 წელი, გამოაქვეყნა სენსაციური დასკვნები, რომ ადამიანები რომლებიც ღებულობდნენ 200 მიკროგრამ სელენს, ისეთი დაავადებები როგორიც არის ფილტვის, პროსტატის, მსხვილი და სწორი ნაწლავის კიბო, შემცირდა 49%-ით.

კოლასალური შესაძლებლობა, რომელსაც იძლევა სელენის მიღება, უკვე ფართო წრეებისათვის არის ცნობილი.

სამწუხაროდ, დღეს საავადმყოფოები გადატვირთულია ადამიანებით, რომლებიც მძიმედ არიან დაავადებულნი. საქართველოს ჯერჯერობით არ მიეცა საშუალება სხვადასხვა მიზეზების გამო ჩატარდეს ისეთ მიკროელემენტებით გამოწვეული დაავადებების სიხშირეზე, როგორიც არის იოდი და სელენი. ორივე ელემენტის დეფიციტი თავისი მასშტაბით სერიოზულ პრობლემებს იწვევს მოსახლეობის ჯანმრთელობის საკითხში სრულად. ასე თუ ისე, წლების წინ დადგენილია იოდის დეფიციტის რეგიონები, თუმცა უახლოეს წლებში საქართველოში კვლევები არ ჩატარებულა, თუნდაც იმიტომ, რომ არ არსებობს ამ საკითხზე ინფორმაციის მიწოდება. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მიკროელემენტების დეფიციტისა და აღმოფხვრის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისადმი დიდ როლს შეასრულებს როგორც ადამიანის, ისე ცხოველის ჯანმრთელობის პროფილაქტიკის საკითხებში.



სელენის დეფიციტის სიმპტომები ცხოველებში:

ზრდასრული ცხოველები:

1. დაბალი განაყოფიერება,
2. აბორტი, სიცოცხლის უუნარო მოზარდის დაბადება.
3. მოგების შემდგომი დაავადებები, მომყოლის შეჩერება, მეტრიტი.
4. მასტიტი, რძეში სომატური უჯრედების მომატებული რაოდენობა.
5. ღვიძლის ჰეპატოზი და ნეკროზი.

მოზარდი:

1. ახალდაბადებული ხბოების დაბალი გამძლეობა სიცივის მიმართ.
2. შენელებული ზრდა.
3. დაბალი იმუნური მდგომარეობა.
4. სარემონტო მოზარდებში საკვების ცუდი კონვერსია.
5. კუნთოვანი დისტროფია.

ორგანული სელენის უპირატესობა:

1. კარგად აითვისება მცოხნავების მიერ.
2. არატოქსიურია.
3. არ ურთიერთქმედებს სხვა მინერალებთან.
4. ორგანიზმში ქმნის რეზერვებს.

ამდენად, ფერმერებმა სპეციალისტებთან ერთად უნდა იზრუნონ სელენით ისეთი პროდუქტების გამდიდრებაზე, როგორიცაა: კვერცხი, ხორცი, რძის პროდუქტები, პური და სხვა.

მიხეილ ჭიჭაყუა, **„აგრო განვითარების ჯგუფი“, ბიოლოგიის დოქტორი**





აგროქიზიყი
AGROQIZIKI
თქვენი წარმატება, ჩვენთან პარტნიორობით მიიღწევა
პირველად დედოფლისწყაროში !
მხოლოდ აგროქიზიყი გთავაზობთ

შეიძინეთ ჰერბიციდები და ვენახის წამლები შპს აგროქიზიყის მაღაზიაში

6 თვიანი უპროცენტო განვადებით,

მხოლოდ პირადობის მოწმობით.

შეძენილი საქონლის მაქსიმალური თანხა შედგენს 5000 ლარს

„აგროქიზიყი“

გთავაზობთ

მსოფლიოში გავრცელებული მაღალ პროდუქტიული მერძეული და მეხორცული ჯიშის ბულის სპერმას

ჩვენი სპეციალისტები კონსულტაციას ადგილზე გაგიწევენ

პირველი 50 მსურველისთვის სპერმის ღირებულებასა და მომსახურებაზე გავრცელდება 50%-იანი ფასდაკლება

დარეკეთ ნომერზე:

599 56 71 31

მეორე სკოლის ტრიუმფი

კიდევ ერთი სპექტაკლი ბოშა ბავშვების მონაწილეობით

განათლების სამინისტროს „მოსწავლე-ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტივობების განვითარების“ პროგრამის ფარგლებში დედოფლისწყაროში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსაწავლეების მონაწილეობით სპექტაკლი „დოქტორი მერიგოლდი“ დაიდგა. წარმოდგენა დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე გათამაშდა და მასში დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. ისინი საოცარი სამსახიობო ოსტატობით წარდგნენ მაყურებლის წინაშე. საკმაოდ ემოციური გახლდათ სცენარიც.

ბავშვებთან რეჟისორი გეგა ქურციკიძე მუშაობდა. სპექტაკლში ბოშა ბავშვების გარდა ამავე სკოლის სხვა მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ.

როგორც განათლების სამინისტროს „მოსწავლე-ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტივობების განვითარების“ პროგრამის ხელმძღვანელმა ლელა ცქიტიშვილმა „შირაქს“ განუცხადა, ამგვარი პროექტები კახეთის მასშტაბით მხოლოდ დედოფლისწყაროში ხორციელდება, თუმცა გარკვეული სახის აქტივობები თელავშიც გაიმართა.

„ამგვარი აქტივობები ბავშვებს დამეგობრებაში ხელს უწყობს. გვინდა ვაჩვენოთ, რომ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ და უნარშეზღუდულ ბავშვებსაც შეუძლიათ ნიჭი ფართო საზოგადოების წინაშე გამოავლინონ და საკუთარი შესაძლებლობები გვაჩვენონ. მათთვის ამგვარი ღონისძიებები ძალიან დიდი სტიმულია. ამიტომაცაა, რომ განათლების სამინისტრო ცდილობს ამ პროგრამის ფარგლებში ინტენსიურად გამართოს მსგავსი ტიპის ღონისძიებები და ამ მიზნით გამოიყო დაფინანსება. დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლასთანა აქტიურად ვთანამშრომლობთ. გასულ წელს დავდგით სპექტაკლი „ვარსკვლავბიჭუნა“, ახლა კი „დოქტორი მერიგოლდი“. ვგეგმავთ ეს წარმოდგენა სხვაგანაც გავიტანოთ, ისევე, როგორც დედოფლისწყაროელმა ბავშვებმა „ვარსკვლავბიჭუნა“ სხვა სცენებზეც ითამაშეს. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ბოშებს, ისინი კი დედოფლისწყაროში მრავლად ცხოვრობენ, ამიტომაცაა, ჩვენთვის დედოფლისწყარო პრიორიტეტული, “ — აღნიშნავს ლელა ცქიტიშვილი.



დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის დირექტორი ია ლაპიაშვილი ამბობს, რომ ამ სკოლამ დედოფლისწყაროელი ბოშების ინტეგრაციაში მნიშვნელოვანი როლი შეასულა. მისი თქმით, სკოლამ ბოშებისთვის განათლების მიცემა 2010 წლიდან დაიწყო:

„მანამდე, დედოფლისწყაროს სოფელ ჭოეთში მცხოვრები ბოშების უმრავლესობა დაწყებით განათლებასაც არ ფლობდა. წერა-კითხვა მოზრდილებმაც კი არ იცოდნენ, ასევე არ ჰქონდათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობები და საზოგადოებრივ ცხოვრებას მოწყვეტილნი იყვნენ. დღეს შედეგები სახეზეა და გარდა იმისა, რომ ისინი ქართულ ენაზე თავისუფლად საუბრობენ და წერენ, კომპლექსის გარეშე იღებენ მონაწილეობას კულტურულ ღონისძიებებში და აშკარაა, რომ არანაკლები ნიჭიერებით ასრულებდნენ სხვადასხვა როლებს. ასე რომ, შეიძლება თამამად ითქვას, ჩვენი მიზანი მიღწეულია. ამჟამად მეორე საჯარო სკოლაში 20-მდე ბოშა მოსწავლე ირიცხება, “ - განუცხადა „შირაქს“ მეორე სკოლის დირექტორმა ია ლაპიაშვილმა.

გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, გასულ წელს ბოშების მიერ დადგმულმა სპექტაკლმა „ვარსკვლავბიჭუნა“ საქართველოს მასშტაბით წარმოდგენილ 50 სპექტაკლს შორის გაიმარჯვა და ის რამდენიმე ქალაქის სცენაზე გათამაშდა.

იმის გამო, რომ სოფელი ჭოეთი რაიონულ ცენტრს დაშორებულია და ბოშები დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლაში სიარულს ვერ შეძლებდნენ, სკოლამ მათი ყოველდღიური ტრანსპორტირება საკუთარ თავზე აიღო. თავდაპირველად ტრანსპორტირებისთვის საჭირო თანხები არასამთავრობო ორგანიზაციებიდან გამოიყოფოდა, თუმცა ამჟამად სკოლა ბოშა მოსწავლეების ტრანსპორტირებას საკუთარი ხარჯებით ახდენს.

ილია მარტყოფლიშვილი

ბავშვობა ლამაზი სიზმარია...

ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართა დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმაც. საზეიმო საღამოში შემოქმედებით წრეებში განვრიანებული მოზარდები მონაწილეობდნენ და საკუთარ შესაძლებლობებს წარმოაჩენდნენ. „კაცობრიობა რომ არ დაბერდეს, ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?“ — ასეთი იყო ღონისძიების სახელწოდება, რომელიც სწორედ შემოქმედებითი წრის მასწავლებელმა ნინო სიფრაშვილმა მოამზადა. მრავლად იყო ლექსები და სიმღერები ბავშვებზე, მათ უფლებებზე, სამშობლოზე, მშვიდობასა და ნინოობაზე.

თიკა ბოტკოველმა და ლილიანა უთრუთაშვილმა ბოშური ცეკვა საოცარი ოსტატობით შეასრულეს. საღამო საოცრად გაალამაზა ცეკვა ტანგომაც, რომელიც ილია შიუკაშვილმა და ლილიანა უთრუთაშვილმა წარმოადგინეს. ღონისძიებას ამშვენებდა კედელზე გაკრული სლოგანი - „ბავშვობა ლამაზი ზღაპარია!“

ყველაზე პატარა მონაწილეებმა მარი და ანა ნასრაშვილებმა ჩვეული ოსტატობით წარმოსთქვეს სხვადასხვა ლექსები, რომლებიც თავის მხრივ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისა, თუ ნინოობისთვის იყო მიძღვნილი და ამავე შინაარსის გახლდათ. საკმაოდ აქტიურობდნენ მაკა, თეკლე და ლუკა ზურიკაშვილები, ასევე ციცი გიგაშვილი და მარი ბზუკაშვილი.

ღონისძიების დასასრულს საღამოს ორგანიზატორმა და ავტორმა ნინო სიფრაშვილმა ღონისძიების ერთ-ერთ მონაწილეს, ლაშა ლიქოკელს, რომელიც იუბილარი გახლდათ და ნინო ხეტეშვილს დაბადების დღე და ნინოობა მიულოცა და სამახსოვრო საჩუქრებიც გადასცა. პედაგოგმა პატარა მოსწავლეებს მისივე სურვილებით გაფორმებული ნიგნები საჩუქრად გადასცა.

როგორც დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელმა ირმა ბენაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, მათთან 150-მდე დედოფლისწყაროელი მოსწავლეა გაწევრიანებული. ირმა ბენაშვილის განმარტებით, მოზარდები სხვადასხვა წრეებზე სრულიად უფასოდ ეუფლებიან მათთვის სასურველ საგანს.

„წრეების უმრავლესობა აღარ არსებობდა და ჩემი მოსვლის შემდეგ მათი აღდგენა და ხელახლა შექმნა მოგვიხდა. ამჟამად მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ფუნქციონირებს ქართული ენის, ინგლისური ენის, მხატვრული კითხვის, ინტელექტუალური და კომპიუტერული წრეები. სულ ორი თვეა გავხსენით თექისა და ბისერების წრე, სადაც 2 ჯგუფი შეიქმნა და თითოში 10-10 მოსწავლე ირიცხება. მათ ლია ნატროშვილი ასწავლის. მსურველები კიდევ არიან, თუმცა ჯერჯერობით მეტის მიღება ვერ ხერხდება, თუმცა სამომავლოდ მათაც მიეცემათ საშუალება ამ წრეებში გაწევრიანდნენ. ხშირად ვმართავთ სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებებს და უნდა ითქვას, რომ ჩვენთან აქტიური ცხოვრება მიდის. პატარა ლაფსუსი ისაა, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს საკუთარი დარბაზი არ გააჩნია. ღონისძიებებს ანსამბლ „შირაქის“ დარბაზში ვმართავთ ხოლმე. გასარკვევია ეს საკითხიც... თუმცა, ამ დარბაზს ურთიერთშეთანხმებით ყველა ვიყენებთ, შეფერხება არ გვაქვს, თუმცა უკეთესი იქნებოდა საკუთარი დარბაზი გვქონდეს. უნდა ვთქვათ ისიც, რომ დღეს ჩვენთან კომპიუტერების წრე რომ ფუნქციონირებს, ეს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის უფროსის მაია ყოჩიაშვილის და გამგეობის თანადგომით მოხერხდა. 2 კომპიუტერი სააღმზრდელო ცენტრმა გადმოგვცა, ორი გამგეობამ და მათაც მინდა თანადგომისთვის მადლობა გადავუხადო. სამომავლოდ უამრავი საინტერესო გეგმა გვაქვს და ვთვლი, რომ საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო პერიოდი გვექნება,“ - აღნიშნა ირმა ბენაშვილმა.

ირმა ბენაშვილი დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელად სულ რამდენიმე თვეა დაინიშნა. ის აქტიურ თანამშრომლობას გეგმავს მედიასთანაც.

ილია მარტყოფლიშვილი

არბოშიკის საკრებულოს თანამშრომლები თანაგრძნობას ვუცხადებთ მარინა ცხვედიაშვილს და ჯემალ კუხალაშვილს დედის
ჟუჟუნა კუხალაშვილის
გარდაცვალების გამო.

ოზაანის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები და კლასის ხელმძღვანელი ნანა ოზაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ გიორგი კოხტაშვილს დედის
მაია კოხტაშვილის
გარდაცვალების გამო.

გაზეთ „შირაქის“ რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მარინა ცხვედიაშვილს და ჯემალ კუხალაშვილს დედის
ჟუჟუნა კუხალაშვილის
გარდაცვალების გამო.

ილია მარტყოფლიშვილი ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს დათო და ვასიკო ქადაგიძეებს პაპის და მამის
ჟორა ქადაგიძის
გარდაცვალების გამო.

ნაირა, ციხელო, გულნარა (ნანიკო) გორაშვილები, ნოდარი და თამარ ტურიაშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ დათო კოხტაშვილს მეუღლის, მზია და ნუგზარ კოხტაშვილებს რძლის
მაია კოხტაშვილის
გარდაცვალების გამო.

არბოშიკის კულტურის სახლის და ბიბლიოთეკის თანამშრომლები თანაგრძნობას ვუცხადებთ მარინა ცხვედიაშვილს და ჯემალ კუხალაშვილს დედის
ჟუჟუნა კუხალაშვილის
გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მწერალთა და მწიგნობართა ასოციაციების წევრები თანაგრძნობას უცხადებენ მარინა ცხვედიაშვილს და ჯემალ კუხალაშვილს დედის
ჟუჟუნა კუხალაშვილის
გარდაცვალების გამო.

მარინე და გურამ მოლაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ვიოლა, ლია, ზაზა რობიტაშვილებს დედის
მაროს
გარდაცვალების გამო.

სადღეისო საფიქრალი

ერთადერთი გამოსავალია, დავიცვათ ზომიერება

კომპიუტერი, ერთი შეხედვით, უბრალო მანქანაა, რომელსაც თავისი ფუნქციები აკისრია. ის ადამიანმა შექმნა, როგორც ყველა სხვა გამოგონება თუ ნივთი. არავინ უარყოფს, რომ ტექნიკის განვითარებამ სამყაროს პროგრესისკენ უბიძგა. ინფორმაციის მისაღებად და საკომუნიკაციოდ ძირითადად სოციალურ ქსელებს ვიყენებთ. შესაბამისად, შეხება გვაქვს იმ სივრცესთან, რომელსაც გვთავაზობს და იმ ხალხთან, ვინც ამ სივრცეშია განთავსებული. დადებითი კუთხით თუ შევხედავთ, კომპიუტერის მეშვეობით კომუნიკაცია გამარტივდა. „ვირტუალურმა სამყაროო“ სიშორით გამოწვეული დისკომფორტი აღმოფხვრა. დაძაბული რეჟიმისა და „ქრონიკული“ უდროობის გამო კომპიუტერი ამართლებს თავის ფუნქციებს, მაგრამ ამან ფუნდამენტური პრობლემა წარმოშვა.

1. ადამიანები მოწყვიტა რეალურ სამყაროს და ვირტუალურ სამყაროში სამუდამოდ „ სამოგზაუროდ განირა.

2. მიჯაჭვულობა.

3. აზარტი(კომპიუტერული თამაშები სიციალურ ქსელში).

რის შედეგადაც მივიღეთ „ჰომო მედიუმი“- ახალი ადამიანი, რომლის ნერვული სისტემა ისევეა გამოფიტული განუწყვეტელი სანახაობითა და კომუნიკაციით, როგორც ეს ხდება ნარკოტიკის მუდმივი მიღებით, შედეგი სავალალოა. მივიღეთ ფსიქიკურად დამახინჯებული ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია გაფილტროს მიღებული ინფორმაცია და ზღვარი აკონტროლოს. მიჯაჭვულობა იწვევს აზარტს, სადაც ვირტუალური სამყარო ინდივიდს კარნახობს ცხოვრების წესებს, ის ადამიანის ოცნების აკრძალული და ფარული ზრახვების ახდენის მეტ მოტივაციას იწვევს.

ბევრი მოსაზრება გამოითქვა სოციალური ქსელების ავკარგიანობაზე. მსოფლიო მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ერთხმად მხარს უჭერს ამ ქსელების უარყოფით ფიზიკურ გავლენას ადამიანზე, თუმცა, მათი პოპულარობა და მომხმარებელთა აქტივობა დღითიდღე კი არა, წამიერად იზრდება.ინდივიდის ფსიქიკური შესაძლებლობა უსაზღვრო არ არის. ის ვერ იტანს უზომო დატვირთვას და შედეგად ვღებულობთ ჰიპოდინამიას. პირველ რიგში გულსისხლძარღვთა ტვინისა და თვალის დაავადებებს. ამ დროს ადამიანს მკვეთრად აქვს სისხლში ლეიკოციტების დაწეული დონე, დაქვეითებული აქვს ორგანიზმის თავდაცვის ფუნქცია. რაც შეეხება ფსიქიკაზე გავლენას, კომპიუტერისგან წარმოქმნილი გამოსხივება იწვევს: ნერვულ-სომატურ დარღვევებს და
ფსიქიკის დისბალანსს.

(გაგრძელება გვ. 8)

ნიკა საბიაშვილის ხსოვნის ტურნირი ზემო ქედში



ზემო ქედში შსს-ს გარდაცვლილი თანამშრომლის, სპორტსმენ ნიკა საბიაშვილის ხსოვნას მიეძღვნა მისივე სახელობის ღია პირველობა მკლავჭიდში.

მისი მშობლიური სოფლის ზემო ქედის კულტურის სახლის სპორტულ დარბაზში ნიკუშა საბიაშვილის სახელობის გარდამავალი თასის მოსაპოვებლად დედოფლისწყაროელი, გურჯაანელი, თელაველი, ახმეტელი, საგარეჯოელი და თბილისელი სპორტსმენები ეჯიბრებოდნენ. ტურნირი საგანგებოდ მის დაბადების დღეს, 2 ივნისს დაამთხვიეს.

ნიკუშა საბიაშვილი 2013 წლის 15 მარტს ავტოავარიაში დაიღუპა. ავარია თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მოხდა. დიდი სისწრაფით მიმავალი ბეემვეს მარკის ავტომანქანა, რომელსაც საბიაშვილი მართავდა გზის საპირისპირო მხარეს გადავიდა და ხეს შეეჯახა. გაირკვა, რომ ავტომანქანა გოგონას ეჯახებოდა და მძღოლმა აცილება სცადა, რა დროსაც საჭე ვერ დაიმორჩილა.

დაშავებული რკინიგზის საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა როგორც მისმა მეგობრებმა "შირაქს" განუცხადეს, ნიკუშა საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე საათში, გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

მან შსს პოლიციის აკადემია დაამთავრა, რის შემდეგაც თბილისში, ერთ-ერთი განყოფილების ინსპექტორად მუშაობდა.



„სასწავლებელში აგვიანდებოდა და სწრაფად მიმავალს ეს შეემთხვა. დაღლილი იყო. ავტომანქანა ახალი ნაყიდი ჰყავდა, დიდი ხანი ოცნებობდა და მანქანა შეიძინა. სამწუხაროდ, საბედისწერო აღმოჩნდა. საუკეთესო ადამიანი იყო, ყველასგან გამორჩეული. მისნაირი უზომოდ თბილი ადამიანი იშვიათია. ყველას ძალიან უყვარდა, მასზე განაწყენებული კაცი არ მინახავს... უნაკლო ადამიანი ზუსტად მისნაირი წარმომიდგენია. რადგან მან 21 წლის ასაკში მიაღწია იმდენს, რასაც სხვები მთელი ცხოვრება, სიბერემდე ვერ აღწევენ... ყველა სურვილი აისრულა, ნამდვილად გამორჩეული იყო, " — იხსენებს გარდაცვლილის ბავშვობის მეგობარი, მისივე თანასოფლელი ნინო ქავთარაძე.

ახლა კი უშუალოდ ნიკუშა საბიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის შესახებ:

მკლავჭიდელთა პაექრობა ოთხ წონით კატეგორიაში გაიმართა. ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: 60 კგ წონით კატეგორიაში იმედა ჭინჭარაული, 70 კგ წონით კატეგორიაში გურამ აბულაშვილი (ახმეტა) , 80 კგ წონით კატეგორიაში ბექა ბეციაშვილი (გურჯაანი) , ხოლო 90 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონის ტიტული არხილოს კალოელმა ზაზა კობაიძემ მოიპოვა.

საბიაშვილის სახელობის გარდამავალი თასი 80 კგ წონით კატეგორიაში მოიპოვა.

ეს გადაწყვეტილება ტურნირის ორგანიზატორებმა იმიტომ მიიღეს, რომ ნიკა საბიაშვილი ამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა. ტიტული - მაყურებლის სიმპათია და თასი, რომელიც ნიკა საბიაშვილის მეგობარმა შოთა ქავთარაძემ დააწესა, წილად ხვდა ზემო ქედელ ტარიელ გოგიშვილს.

ტურნირის მთავარი პრიზი - ყოჩი და საუკეთესო მკლავჭიდელის ტიტული ზაზა კობაიძეს ერგო.

სამგზის საქართველოს უნივერსიადების პრიზიორი, პერსპექტიული ზემო ქედელი სპორტსმენი, მკლავჭიდელი ნიკუშა საბიაშვილი (პედაგოგი გელა ბექაური) ორი თვის წინ ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ამ დღეს ნიკუშას 22 წელი შეუსრულდებოდა. ის ფრენბურთსაც თამაშობდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრში აცხადებენ, რომ ტურნირი ტრადიციული გახდება და ის ყოველთვის 2 ივნისს, ნიკუშა საბიაშვილის დაბადების დღეს დაემთხვევა.

ილია მარტყოფლიშვილი

ერთადერთი გამოსავალია, დავიცვათ ზომიერება

(მეშვიდე გვერდიდან)

ამერიკელმა ფსიქოლოგმა დევიდ გროსმანმა დაამტკიცა, რომ აგრესიული თამაშები აგრესიით" ასნებოვნებენ" ადამიანს. სისასტიკე და ანომალური ქცევები მონიტორზე, ცხოვრებაშიც იმავეს შობს. იგივე აზრს იზიარებენ ცნობილი ავტორიტეტები: ზილმანი, დონერსტაინი, გერბენი, ფრანკლი.

სოციალური ქსელის facebook-ის დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერკმა ნათლად გამოხატა შეშფოთება იმაზე, თუ რამხელა საფრთხე ემუქრება ადამიანს, რეალობის დაკარგვისას. მან სატელეფონო საუბრისას განაცხადა: „პირადად მე ვთვლი, რომ facebook - ის გაუქმების შემდეგ ხალხი გარეთ გამოვა და ვირტუალური მეგობრების მაგივრად ნამდვილ მეგობრებს გაიჩენს, ეს კი, ყოველთვის კარგია."

„უწამლო ნარკოტიკი" ყველა სფეროს მოიცავს. ჩვენ ვდგავართ იდეალურ კავშირ მოწყობილობათა გლობალური ცვლილებების ზღურბლზე, სადაც თანამედროვე ინფორმაციის ცივილიზაციამ ადამიანს მისცა სოციალური ქსელები, როგორც ურთიერთობის, გართობის და სწავლების საუკეთესო საშუალება. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს დავიცვათ ზომიერება, რათა ჩვენს მიერ შექმნილმა „იარაღმა" ჩვენვე არ გაგვანადგუროს. თუ ყველაფერი ასეთი ტენდენციით და სწრაფი ტემპით განვითარდა, მალე ადამიანს აღარ დასჭირდება მეგობრებთან ყოფნა, კონფერენციაზე წასვლა, ცოდნის მისაღებად სკოლასა და უნივერსიტეტში სიარული. ყველაფერს ამას შეძლებს სახლიდან გაუსვლელად, ვირტუალური სამყაროს დახმარებით, ადამიანი დარჩება, როგორც უდაბნოში, ყველაფრის მიმართ გულგრილი და ყველასთვის უცხო.

სოფო უთირუთაშვილი,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგის მიმართულების მეორე კურსის სტუდენტი.

ულოცავენ!

თამარ თამაზაშვილს!

დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები თამარ თამაზაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და ღმერთის მფარველობას.

ყურადღება

გვესაჭიროება შოთი პურის მცხობელი ქალბატონი.
მისამართი: ჰერეთის(ყოფილი სტალინის) ქუჩა №104.
☎ 593-233-073.

მადლიერება

აჭარის მთებიდან კახეთის ველებისაკენ - სწორედ ასე იწყება ჩემი ცხოვრების ისტორია. 1988 წლის 8 მარტს ჩემი ბედი დავუკავშირე სოფელ წითელწყაროში მცხოვრებ ნოდარ წიკლაურს. ჩვენ თბილისში, ბორის ძნელაძის კომკავშირულ სასწავლებელში გავდიოდით კურსებს. სადაურსა სად ნაიყვანს ბედიო, განა ტყუილად უთქვამს ბრძენ კაცს?! შევქმენით დიდებული ოჯახი, კომკავშირული ქორწილიც კი გადაგვიხადეს ბორის ძნელაძეში. იმ დღიდან დღემდე ბედნიერი ვიქნებოდი, რომ არა ნოდარის სიკვდილი და ის შემზარავი ხანძარი, ჩემს 16 წლის ოჯახს რომ დაატყდა თავს.

ნოდარი იყო ძვირფასი მეუღლე, შვილების უზომოდ მოყვარული მამა, მშობლებისთვის საამაყო შვილი, რაიონში კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა („ფირმა ხევსურას" ეძახდნენ, სიყვარულით "წრუწუნად" მოიხსენიებდნენ). აჭარელი ხალხის საყვარელი სიძე, იმდენად უყვარდა სიმამრს, რომ ნოდარის სიკვდილს თვითონაც ემსხვერპლა. ღმერთმა არ მაკმარა ეგ უბედურება და 2011 წლის 21 იანვარს ხანძრის შედეგად ქუჩაში აღმოვჩნდით, ღია ცის ქვეშ. თქვენ წარმოიდგინეთ თოვლში, ყინვაში, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახი რა დღეში ვიქნებოდით, მაგრამ რაიონის გამგეობა გვერდში დაგვიდგა. კანონის შესაბამისად დაგვეხმარა, ბინა დავიქირავეთ და ქირით დღემდე უზრუნველგვყოფს. სურსათ-სანოვაგითა თუ პირველადი მოხმარების ნივთებით, ტანსაცმელით თუ ოჯახს რაც სჭირდება ყველაფრით თანადგომა გაგვიწია. მე ამ პატივისცემას ვერ დავივიწყებ და კიდევ ერთხელ გულითად მადლობას ვუხდი იმდროინდელ გამგებელს ნუკრი შანშიაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს ლევან ბაღაშვილს, სოფელ ხორნაბუჯის რწმუნებულს ტარიელ ღარიბაშვილს და საკრებულოს დეპუტატს გელა თეთრაულს, რომელმაც გაითავისეს ჩვენი გულისტკივილი და მხარში დაგვიდგნენ. ათიათასი მადლობა დავით გონაშვილს- ფონდ "ნუგეშის" თავმჯდომარეს, ღმერთი იყოს მათი მფარველი!

არ შემიძლია აქვე არ გავიხსენო რაიონის მცხოვრებლების თანადგომა. ჩემი შვილების პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე-მასწავლებლების 500ლარით დახმარება, ტანსაცმლითა და სურსათ-სანოვაგით გვერდში ამოდგომა. განსაკუთრებული ყურადღეება გამოიჩინა თორნიკეს დაწყებითი კლასის დამრიგებელმა ნუნუ ბეგიაშვილმა ავეჯითა და თეთრეულით დაგვეხმარა. თამარის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნელი ნანობაშვილმა გამაოცა - 200 ლარით პატივი გვცა, რაიმე ავეჯი იყიდეთო. მოსახლეობა აფორიაქდა ჩვენი გასაჭირით, ყველამ გულთან მიიტანა ეს დიდი ტკივილი და მათმა ყურადღებამ გაგვათბო მე და ჩემი ობლები.

ღმერთმა დალოცოს ეს რაიონი. დიდებულ ხალხს უცხოვრია, გასაჭირში თანადგომა უძვირფასესი მადლია, თორემ ლხინში ცეკვა ძალიან იოლია.

დღემდე არ წყდება ჩვენი ოჯახისადმი თანადგომა. ჩემს გულს უსაზღვრო სიხარული ეფინება, მაგრამ სხვის ჭერებს ამოფარებულმა ცხოვრებამ დამიზიანა ცენტრლური ნერვიული სისტემა. აბა, როგორია მუდამ ჩემოდანზე ჯდომაც. თქვენ წარმოიდგინეთ, უკვე მეოთხე ჭერი შევიცვალე. ზოგმა ბინა გაყიდა, ზოგს გაყიდვაში ხელი ეშლებოდა და დაგვაცლევინა. სადღა წავიდე, ამ დარდით ვცხოვრობ, რა გზას დავადგე, ვეღარ გამიგია? ჯერ იყო და, გოგონა მყავდა ავად, ახლა კი მე ვარ ძალიან ცუდად, თავის ტკივილები გამიძლიერდა, დამეწყო მოჩვენებები, შიშები. აღდგომის ღამეს კი ლამის აივნიდან გადავხტი ნერვები ისე გადამეკეტა, ბურუსი შემოაწვა ჩემს გონებას, დამთრგუნა და ვიგრძენი, თვითმკვლელობისკენ მიდიოდა ჩემი ფიქრები, მაგრამ ჩემი ცხონებული ქმრის სული გამომეცხადა, ნაჯახი ჩაარტყა ეშმაკს, უცებ განათდა ბნელი ღამე, ამიტანა ციებ- ცხელებამ, შიშმა, თუმცა ბედნიერი ვარ, რომ ნოდოს სულმა „იზრუნა" და სიკვდილს გადამარჩინა. ამჟამად მკურნალობის კურსს გავდივარ.უკვე ნებისყოფა აღარ მყოფნის, ასეთი მწარე ცხოვრებით როდემდე უნდა ვიცხოვრო? იქნებ ვიპოვოთ რაიმე გამოსავალი და კიდევ ერთხელ დამიდგეთ გვერდში ამ მრავაშვილიან დედას, მარჩენალდაკარგულს, სოციალურად დაუცველს, ხანძრით დაზარალებულს- ან ის დამწვარი სახლი გადამიხურეთ ან პატარა ქველმოქმედება გამინიეთ და პატარა ბინით დამასაჩუქრეთ.

გაზეთ „შირაქის" საშუალებით მინდა თხოვნით მოგმართოთ რაიონის ახალ გამგებელს: ირაკლი შიოლაშვილს, ქალაქის რწმუნებულს ბესიკ ცისკარაულს, სოფლის რწმუნებულს ტარიელ ღარიბაშვილს, რაიმე გზა გამოვნახოთ, ანდა, შუამდგომლობა გამიწიეთ „იავნანას" ფონდის თავმჯდომარესთან პაატა ბურჭულაძესთან ან სხვა ვინმესთან. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ ოთხი შვილის დედას შველა მჭირდება ისე, როგორც თევზს წყალი. გლოცავთ მთელი გულით და წინასწარ გიხდით უღრმეს მადლობას, მჯერა, თქვენი ადამიანობისა და პასუხისმგებლობისა: „ქვრივ-ობლების მადლი ჰქენით, გზაზე დადეთ, წინ დაგხვდებათ"!

ლიანა წიკლაური - ბერიძე

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 10.06		სამშაბათი 11.06		ოთხშაბათი 12.06		ხუთშაბათი 13.06		პარასკევი 14.06		შაბათი 15.06		კვირა 16.06	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
17 °	15 °	18 °	16 °	19 °	18 °	21 °	20 °	24 °	22 °	24 °	22 °	25 °	20 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი) ; ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი) ; ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.

C M Y K